ᲨᲠᲝᲛᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. ᲞᲘ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲬᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲭᲭᲝᲗᲐ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 9 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1944 წ. № 161 (7104). ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

პარტიული ბიუროს მდივნის მოადგილე ხელმძღვანელი მუშაკია. პარტბიუროს მდივანთან ერთად იგი პასუხისმგებელია პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობისათვის. დიდია მისი მოვალეობა და როლი.

პარტიული ბიუროს მდივნის მოადგილე მდივანთან ერთად ხელმძღვანელობს სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას, სწავლობს ადამიანებს, არჩევს მათგან საუკეთესოებს პარტიაში მისაღებად, ამოწმებს საამქროს პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფების მუშაობას, ამზადებს საკითხებს ბიუროსათვის და საერთო კრებისათვის.

სამამულო ომის პერიოდში ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე მოვიდა მრავალი ახალი მუშაკი. მათ შორის ბევრი პირველად არის არჩეული პარტიული ბიუროს მდივნის მოადგილედ და სათანადო გამოცდილება არა აქვს. ამ ამხანაგებს პარტიული მუშაობის შესასწავლად ყოველდღიური დახმარება სჭირდებათ.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, აგრეთვე პარტბიუროს მდივნების მოვალეობაა ყოველმხრივ დაეხმარონ პარტბიუროს მდივნის მოადგილეებს ხელმძღვანელობის ხელოვნების დაუფლებაში.

ჩვენ მრავლად გვყვანან პარტბიუროს მდივნის ისეთი მოადგილენი, რომლებიც საუცხოოდ მუშაობენ. ასეთია, მაგალითად, ხაშურის საელმავლო დეპოს პარტბიუროს მდივნის მოადგილე ამხ. ა. აგლაძე. პარტორგანიზაციის მდივან ამხ. მ. თუთისანთან ერთად იგი სათავეში ჩაუდგა საელმავლო დეპოს კომუნისტებს, გაშალა სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა, სისტემატურად ამოწმებს პარტიულ კრებებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულებას, დროზე და კარგად ამზადებს საკითხებს პარტიული კრებისათვის. ამხ. ა. აგლაძე ხელმძღვანელობს პარტიის წესდებისა და პროგრამის შემსწავლელ წრეს, რომლის მსმენელებიდან ოთხი ამხანაგი უკვე მიღებულია პარტიის რიგებში.

ბორჯომის საორთქლმავლო დეპოში ლენინელი მემანქანე გ. ფეიქრიშვილი კომუნისტებში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს. ის ერთხმად აირჩიეს პარტბიუროს მდივნის მოადგილედ. ამხ. ფეიქრიშვილი ბეჯითად მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. ენერგიულად ხელმძღვანელობს ახალი საწარმოო კადრების აღზრდას. სამამულო ომის პერიოდში აქ 73-მა ამხანაგმა აითვისა ახალი პროფესია. მდივნის მოადგილე ხელმძღვანელობს სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას, ეხმარება ახალგაზრდა კომუნისტებს პარტიულ დავალებათა შესრულებაში.

ბევრი მსგავსი ფაქტის მოყვანა შეიძლება. მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები კონკრეტულ სამუშაოზე ზრდიან თავიანთ მოადგილეებს, აძლევენ პასუხსაგებ პარტიულ დავალებებს, ამოწმებენ მუშაობაში. ეხმარებიან დავალებათა თავის დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებაში. პარტიის ბევრი რაიონული კომიტეტი გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით იწვევს პარტბიუროს მდივნის მოადგილეთა თათბირებს, ატარებს მათთვის კონსულტაციებს.

ასეთი დახმარების შედეგად იწრთობიან ახალი პარტიული კადრები და უმჯობესდება პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა.

ყველგან არ ექცევა ყურადღება პარტბიუროს მდივნის მოადგილეებად მუშაობას, მათ აღზრდას. ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში პარტბიუროს მდივანი ამხ. რატიანი ცდილობს თვითონ გააკეთოს ყველაფერი, ხოლო მოადგილეებს ამხ. ქორჩილავას და კოზირიძეს არავითარი პარტიული დავალება არა აქვთ. ამიტომ არის, რომ ამ პარტორგანიზაციაში სუსტია პარტიის რიგების ზრდა, მოუწესრიგებელია პარტიული მეურნეობა, ნაკლები ყურადღება ექცევა აგიტაციას, ხოლო საბჭოთა მეურნეობა საგრძნობლად ჩამორჩება დავალებათა შესრულებაში.

ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილედ მუშაობს ამხ. ნ. თხილაშვილი, მაგრამ მას პარტიული დავალება სულ არა აქვს. პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ხ. ოთიაშვილი სუსტად მუშაობს თავის მოადგილეებთან, ცდილობს თვითონ გასწვდეს ყველაფერს. ამის შედეგად პარტიის საერთო კრებებზე განხილული საკითხები ერთფეროვანია, ყოველთვის არ ხდება მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება, ნაკლები ყურადღება ექცევა პარტიის რიგების ზრდას.

პარტიის ზოგიერთი რაიონული კომიტეტი ივიწყებს პარტბიუროს მდივნის მოადგილეებთან მუშაობას. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინისა და კიროვის სახელობის რაიკომებს მიმდინარე წელს ერთხელაც არ ჩაუტარებიათ პარტბიუროს მდივნის მოადგილეებთან საუბარი მათი მუშაობის გაუმჯობესებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

სემინარების პერიოდულად ჩატარება, გამოცდილების ურთიერთგაზიარების მოწყობა პარტბიუროს მდივნის მოადგილეების პასუხისმგებლობის ზრდისა და პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში მათი დახელოვნების ერთერთ სერიოზულ ბერკეტს წარმოადგენს. პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა სისტემატურად უნდა მოიწვიონ თათბირებსა და სემინარებზე პარტბიუროს მდივნის მოადგილეები, განუმარტონ პარტიული მუშაობის ძირითადი საკითხები და პარტბიუროს მდივნის მოადგილეთა უფლება-მოვალეობა.

პარტბიუროს მდივნის მოადგილეები ახალგაზრდა პარტიულ მუშაკთა დიდ რაზმს წარმოადგენენ. მათ სჭირდებათ სწავლება და ყოველდღიური დახმარება. მათთვის თეორიული და პრაქტიკული დახმარების გაწევით დაინტერესებული უნდა იყოს პარტბიუროს მდივანი, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტი.

პარტიული მუშაკის გამოზრდის მძლავრ სამუალებას წარმოადგენს მისი ჩაბმა ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში. პარტბიუროს მდივანმა თავის მოადგილეს უნდა შეუქმნას ზრდის პირობები, მიამაგროს პოლიტიკურ-საორგანიზაციო მუშაობის გარკვეული უბანს, კონკრეტული დახმარება გაუწიოს დავალებათა შესრულებაში.

ზრუნვა პარტიული ბიუროს მდივნის მოადგილეზე ესაა ზრუნვა პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის, პარტიულ მუშაკთა ახალი კადრების აღზრდისათვის. ამიტომ პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მუშაობის ამ უბანს, მისცენ პარტბიუროს მდივნის მოადგილეებს ნამდვილი ბოლშევიკური წრთობა, გამოზარდონ ისინი საუკეთესო პარტიულ მუშაკებად.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲜᲘᲗ

8 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

8 აგვისტოს განმავლობაში ქალაქ რეზეკნეს (რეჟიცის) ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი კრუსტპილსი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ლაპენიეკი, სტირნა, კაპლანი, ინდანი, დუკენი, ანტუში, უპიუსარბი, კაკტი, ზილანი და რკინიგზის სადგურები აიკვიეკსტე, ზილანი, კუკასი.

ქალაქ დაუგავპილსის (დვინსკის) ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაში დაიკავეს 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ზასა, მეუარაუპენსი, აკნისტე, განუშინიკი, მაინეკვოსი, პანემუნისი, ვიელკოლიანი, სუვაინიშკისი, კვეტა, გაიუნაი და რკინიგზის სადგურები ზასა, აკნისტე, პანემუნისი, სუვაინიშკისი.

ქალაქ ბირჟაის რაიონში მოწინააღმდეგე რამდენიმე დღის წინათ კონტრიერიშებზე გადმოვიდა ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალებით ჩვენი ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც ამ რაიონში უტევენ. გაფთრებული ბრძოლების მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ყველა კონტრიერიში, კვლავ შეტევაზე გადავიდნენ და ბრძოლებით დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის სპალვიშნინაი, ლატველიანი, კოჩანი, ნაუსეჯნიაი, რაძიკილიშკისი, ლინკიშკი, სმილგბიაი, ეუოდაკა. ბრძოლების სამი დღის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგის შემდეგი ზარალი მიაყენეს: დაზიანებული და დამწვარია 89 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, მოსპობილია სხვადასხვა ყალიბის 150 ქვემეხი და მოწინააღმდეგის 250-ზე მეტი ტყვიამფრქვევი. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დატოვა თავისი ჯარისკაცებისა და ოფიცრების 6.000-ზე მეტი გვამი. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 16 ტანკი, სხვადასხვა ყალიბის 75 ქვემეხი, 84 ტყვიამფრქვევი. ტყვედ წამოყვანილია 1.350 გერმანელი.

ქალაქ სანდომირის დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს განაგრძობდნენ პლაცდარმის გასაფართოებლად მდინარე ვისლის მარცხენა ნაპირზე. მოწინააღმდეგე ხშირად გადმოდის კონტრიერიშზე. 6 შინაერთის ნაწილებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ 10 კილომეტრამდე და გადასჭრეს სანდომირ-ოსტროვიეცის გზატეხილი. ერთ უბანზე მოწინააღმდეგის ტანკები და ქვეითი ჯარი კონტრიერიშზე გადმოვიდნენ. საბჭოთა ტანკისტებმა, ტანსაწინააღმდეგო არტილერიამ და მოტოქვეითის ჯართან ერთად, უკუაგდეს მტერი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 900 გვამი, გერმანელთა 17 დამწვარი და დაზიანებული ტანკი. ჩვენმა სატანკო ქვეგანაყოფებმა რეიდი მოაწყეს მტრის ზურგში. საბჭოთა ტანკისტებმა გაანადგურეს გერმანელთა შინაერთის შტაბი, მოსპეს მოწინააღმდეგის რკინიგზის ორი ეშელონი, მრავალი ავტომანქანა, საზიდარი და საწყობი.

ეკვსი მფრინავ-გამანადგურებელი ლეიტენანტ კალაშნიკოვის მეთაურობით იფარავდა ჩვენი ჯარების გადასვლას მდინარეზე. ჰაერში გერმანელთა 27 ბომბდამშენი და 8 ავიაგამანადგურებელი გამოჩნდა. საბჭოთა მფრინავებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე და გაფთრებულ ბრძოლაში ჩამოაგდეს გერმანელთა 7 თვითმფრინავი. მოწინააღმდეგის ბომბდამშენებმა უწესრიგოდ ჩამოჰყარეს ბომბები სამიზნეს გარეშე და დასავლეთისაკენ გაბრუნდნენ.

* * *

ქალაქ სამბორის დასავლეთით 5 შინაერთის ნაწილები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას შუალედს ზოუდეებზე და წინსვლას განაგრძობდნენ. გერმანელები განდევნილი არიან ქალაქ დობრომილიდან და ხიროვიდან. ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს 7 ტანკი, 26 ქვემეხი და 35 ტყვიამფრქვევი. წამოყვანილია 200-ზე მეტი ტყვე.

* * *

ქალაქ დროგობიჩის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. 5 შინაერთის ნაწილებმა მოსპეს 700 ჰიტლერელი და ხელთ იგდეს 6 ქვემეხი, 35 ტყვიამფრქვევი და 8 ნაღმსატყორცნი. ერთ უბანზე მტრის ქვეითი ჯარის ბატალიონი კონტრიერიშზე გადმოვიდა. საბჭოთა მებრძოლებმა გერმანელები ახლო მანძილზე მოუშვეს და გრიგალისებური სროლა აუტეხეს მათ. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დატოვა 400 მოკლული და დაჭრილი თავისი ჯარისკაცი და ოფიცერი, ამასთან სასწრაფოდ დაიხია უკან. ხელთ ვიგდეთ 2 თვითმავალი ქვემეხი და 12 ტყვიამფრქვევი.

* * *

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანიის ჯარების უკანასკნელ მძიმე დამარცხებებთან დაკავშირებით ჰიტლერული სრულობა იძულებულია გადმოიყვანოს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ახალი შინაერთები და ნაწილები გერმანიიდან და მის მიერ ევროპის ოკუპირებული ქვეყნებიდან.

ზუსტად არის დადგენილი, რომ 1944 წლის 15 ივლისიდან 3 აგვისტომდე საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოყვანილი არიან და ბრძოლაში მონაწილეობენ გერმანიის შემდეგი დივიზიები: სს-ელთა 73-ე ქვეითი დივიზია და მე-18 სატანკო დივიზია — უნგრეთიდან; სატანკო დივიზია „გერმან გერინგი“— იტალიიდან; 1-ლი საშო-მსროლელი დივიზია — იუგოსლავიიდან; 196-ე ქვეითი დივიზია— ნორვეგიიდან; 541-ე, 542-ე ქვეითი და 174-ე სარეზერვო დივიზიები, 1133-ე და 1134-ე ქვეითი ბრიგადები — დასავლეთ პოლონეთიდან; მე-3 და 544-ე ქვეითი დივიზიები, სს-ელთა მე-14 ქვეითი დივიზია, მე-18 საარტილერიო დივიზია, დივიზია „აღმოსავლეთ პრუსია“ და 761-ე ქვეითი ბრიგადა — გერმანიიდან. ამრიგად, მარტო ორკვირანახევრის განმავლობაში გერმანიის სარდლობამ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გადმოიყოლა 16 დივიზია და ბრიგადა. შეტევის განმავლობაში, რომელიც 23 ივნისს დაიწყო, წითელმა არმიამ გაანადგურა და მოსპო მოწინააღმდეგის არაერთი ათეული დივიზია. ასეთივე ხვედრი მოელის საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ახლად მოსულ გერმანიის დივიზიებსაც.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ევროპაში მოქმედი ა. შ. შტატების აღმოსავლეთის სტრატეგიული ჰაბრედრო-საპაერო ძალების სარდლობის შტაბის ცნობის თანახმად, 7 აგვისტოს ამერიკის ბომბდამშენი ავიაციის შინაერთები, რომლებიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე მდებარე აეროიბაზებიდან მოქმედებენ, თავს დაესხნენ გერმანელთა სინთეტიკური ნავთის ქარხანას ქალაქ ტშერვინიაში, კრაკოვის რაიონში. მფრინავთა ცნობებით, სამიზნის რაიონში მოსჩანდა ძლიერი აფეთქებანი და ხანძრები. საპაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 4 თვითმფრინავი. ამერიკის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა. (საკდესი).

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ“ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲚᲟᲘᲠᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲐᲚᲟᲘᲠᲘ, 8 აგვისტო (საკდესი). 6 აგვისტოს აქ ჩატარდა „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის ალჟირის ფედერაციის ყრილობა. ესწრებოდა 100 დელეგატი, რომელნიც ალჟირის ფედერაციის 4 ათას წევრს წარმოადგენდნენ. გენერალური მდივნის მოადგილემ ქანნმა დაახასიათა ფედერაციის ბიუროს მუშაობა, 18 აპრილიდან დაწყებული, როცა ჩატარებულ იქნა მისი რეორგანიზაცია. მან აღნიშნა, რომ ალჟირის ფედერაციის წევრთა რიცხვი გაიზარდა და ილასპარაკა ჟურნალ „რიუნი დ' ოკუერდიუის“ („რუსეთი დღეს“) შესახებ, რომელიც არალეგალურად გამოდის საფრანგეთში, და მოუწოდა ყრილობას ყოველნაირად დაეხმარონ ჟურნალ „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ გავრცელებას, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკაში გამოდის. დასასრულ მან განაცხადა, რომ სექტემბერში ალჟირში შესდგება „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის ყრილობა.

ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ, 8 აგვისტო (საკდესი). ჰიტლერული საგენტოს—გერმანიის საინფორმაციო ბიუროს მიერ გავრცელებული ცნობების მიხედვით, დღეს ჰელსინკში დამთავრდა ფინეთის ახალი მთავრობის შედგენა, რაც ფინეთის პრეზიდენტის შეცვლასთან დაკავშირებით მოხდა. ახალი მთავრობის პრემიერ-მინისტრად დანიშნულია ხაკელი, საგარეო საქმეთა მინისტრად ენკელი, თავდაცვის მინისტრად—გენერალი ვალდენი, შინაგან საქმეთა მინისტრად—ჩილილია, იუსტიციის მინისტრად—ფონ ბორნი.

ახალი მთავრობის შემადგენლობაში არ შესულან ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლინკომიესი, ყოფილი ფინანსთა მინისტრი ტანერი, საგარეო საქმეთა მინისტრი რამსაი, შინაგან საქმეთა მინისტრი ერნრუტი, იუსტიციის მინისტრი ლეტონენი და მიწათმოქმედების მინისტრი ოსარა.

ᲨᲣᲥᲨᲔᲜᲘᲚᲒᲖᲐ ᲐᲜᲙᲐᲠᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 8 აგვისტო (საკდესი). როგორც აფიც საგენტოს ანკარელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, 7 აგვისტოდან თურქეთის დედაქალაქში შემოღებულია შუქშენილბვა.

მოსკოვი, კრემლი

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲫᲔ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ

მოგახსენებთ, ამხანაგო სტალინ, რომ შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის ტრესტ „მაგნიტოსტროის“ მშენებლობა ცოლ-ქმელმა დასრულა. მშენებლობა და 1944 წლის 24 ივლისს მეტალურგებმა ამუშავეს სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის ლენინის ორდენოსანი მეტალურგიული კომბინატის მე-7 საკოქსე ბატარეა, წელიწადში 500 ათასი ტონა კოქსის სიმძლავრისა, ქიმიურ საამქროებიანად.

ეს მესამე საკოქსე ბატარეაა, რომელიც აგებულ იქნა კომბინატში ომის დროს.

ამუშავების მომენტიდან 8 დღე-ღამის განმავლობაში ბატარეამ 10.000 ტონა კოქსი მოგვცა და საპროექტო სიმძლავრეს მიაღწია.

ომის დროს აგებულმა სამმა საკოქსე ბატარეამ 75 პროცენტით გაადიდა კოქს-ქიმიური ქარხნის სიმძლავრე და უზრუნველყო თუჯისა და ფოლადის გამოდნობისა და ნაგლინის წარმოების ზრდა.

მე-7 საკოქსე ბატარეა მოწყობილია კოქსის წარმოების ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, გაკეთებულია მთლიანად საბჭოთა მასალებისა და მოწყობილობისაგან, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც დამზადებულია მეტალურგიული კომბინატის საამქროებში და მშენებლობაზე. ბატარეა აგებულია ნაკადურ-ჩქარი მეთოდით სარეკორდო მოკლე ვადაში, სამჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ომამდელ დროს, და ორჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე მე-5 საკოქსე ბატარეა, რომელიც 1942 წელს ამუშავდა.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ სტალინური მაგნიტკის მშენებლები და მეტალურგები, აღფრთოვანებულნი წითელი არმიის გმირული გამარჯვებებით და მაგნიტოგორსკელთა მუშაობისათვის თქვენ მიერ მიცემული მაღალი შეფასებით, მთელ ძალ-ღონეს მოახმარენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ახალ დავალებათა შესრულებას თქვენი სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის სიმძლავრის გაზრდისა და გამოყენების დარგში.

შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის ტრესტ „მაგნიტოსტროის“
მმართველი ᲓᲘᲛᲨᲘᲪᲘ

სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის ლენინის ორდენოსანი
მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ᲜᲝᲡᲝᲕᲘ

საკავშირო კ. პ. (ბ) მაგნიტოგორსკის საქალაქო კომიტეტის
მდივანი ᲤᲝᲙᲘᲜᲘ

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი
მშენებლობაზე ᲝᲡᲛᲔᲠᲘ

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი
კომბინატში ᲞᲔᲢᲠᲣᲨᲐ

ტრესტ „მაგნიტოსტროის“ მთავარი ინჟინერი ᲒᲣᲠᲔᲕᲘᲩᲘ

კოქს-ქიმიური საამქროს მშენებლობის უფროსი ᲙᲝᲜᲝᲜᲔᲜᲙᲝ

მშენებლობის სახალხო კომისარიატის კოქს-ქიმმონტაჟის
მაგნიტოგორსკის სამმართველოს უფროსი ᲡᲛᲝᲠᲝᲓᲐ

მაგნიტოგორსკი

ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲝᲒᲝᲠᲡᲙᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲡ ᲓᲘᲛᲨᲘᲪᲡ, ᲜᲝᲡᲝᲕᲡ, ᲤᲝᲙᲘᲜᲡ, ᲝᲡᲛᲔᲠᲡ, ᲞᲔᲢᲠᲣᲨᲐᲡ, ᲒᲣᲠᲔᲕᲘᲩᲡ, ᲙᲝᲜᲝᲜᲔᲜᲙᲝᲡ, ᲡᲛᲝᲠᲝᲓᲐᲡ

ვულოცავ ტრესტ „მაგნიტოსტროისა“ და მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს ახალ გამარჯვებას—მე-7 საკოქსე ბატარეისა და ქიმიური საამქროების განსაკუთრებით მოკლე ვადაში წარმატებით აშენებასა და ამუშავებას. გისურვებთ წარმატებებს შემდგომ მუშაობაში.

Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ

სიხარულით გაცნობებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ფრუნზეს სახელობის კონსტანტინოვკის ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც გადალახა ყველა სიძნელე და ფართოდ იყენებს მოწინავე მუშებისა და ინჟინრების რაციონალიზატორულ ინიციატივასა და გამოცდილებას, ახალ საწარმოო გამარჯვებას მიაღწია: 9 ივლისს 17 საათსა და 30 წუთზე ამუშავდა ბრძმედი № 1, რომელიც აღდგენილია გათვალისწინებულ ვადაზე 4 თვით ადრე. 10 ივლისს 17 საათზე ბრძმედმა პირველი ნადნობი მოგვცა. მექანიზმები, მოწყობილობა ნორმალურად მუშაობენ. ბრძმედის ამუშავებით იქმნება პირობები სამსხმელო და ენერგეტიკული საამქროების აღდგენილი და საეკსპლოატაციოდ გადაცემული მარტენის ღუმელების ნაყოფიერების გადიდებისათვის. ჩვენი ბრძმედის ამუშავება დამატებითი ათას ტონობით თუჯია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საბოლოო განადგურებისათვის ჩვენი საყვარელი წითელი არმიის შესაიარაღებლად.

პირობას გაძლევთ თქვენ, რომ ქარხნის კოლექტივი, აღფრთოვანებული სახელოვანი წითელი არმიის გამარჯვებებით, მთელ ძალ-ღონეს მოახმარს ქარხნის უსწრაფესად აღდგენას.

ქარხნის დირექტორი ᲚᲘᲐᲓᲝᲕᲘ
მთავარი ინჟინერი ᲑᲝᲚᲨᲐᲙᲝᲕᲘ
პარტბიუროს მდივანი ᲛᲐᲙᲔᲔᲕᲘ
საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ᲠᲘᲩᲙᲝᲕᲘ

დონბასი, კონსტანტინოვკა

ᲤᲠᲣᲜᲖᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲡ ᲓᲘᲐᲓᲝᲕᲡ, ᲑᲝᲚᲨᲐᲙᲝᲕᲡ, ᲛᲐᲙᲔᲔᲕᲡ, ᲠᲘᲩᲙᲝᲕᲡ

ვულოცავ კონსტანტინოვკის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივს № 1 ბრძმედის მოკლე ვადებში წარმატებით აღდგენასა და ამოქმედებას. გისურვებთ შემდგომ წარმატებებს თქვენს მუშაობაში.

Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

Ი. Ა. ᲙᲠᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. დემიან ბედნი დამტკიცა დიდი რუსი პოეტის—ივან-არაკთა მწერლის ი. ა. კრილოვის გარდაცვალების 100 წლისთავის აღმნიშვნელი სრულიად-საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა გამოიცეს ი. ა. კრილოვის თხზულებათა სრული კრებული ამხ. დემიან ბედნის რედაქციით.

ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢ Ა. Ა. ᲒᲝᲒᲚᲘᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲝᲠᲘ Ა. Ი. ᲨᲘᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

(ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დაკალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, მფრინავთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და საავიაციო საუკურველი მოქმედი არმიის უზრუნველყოფისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა წითელი არმიის სამხედრო-საპაერო ძალთა გენერლების, ოფიცერთა, სერჟანტთა და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობის დიდი ჯგუფი. მათ შორის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებული არიან ლეიტენანტი აკაკი ალექსის-ძე გოგლიძე და მაიორი არჩილ იოსების-ძე შიოლაშვილი.

ᲞᲧᲘᲑᲣᲚᲔᲚᲘ ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲗ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ ᲙᲘᲖᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐᲡ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). კიზელის ქვანახშირის ბასეინის ტალინის სახელობის შახტის მაღაროელთა მიმართვამ საბჭოთა კავშირის ყველა მეშახტისადმი ტყიბულში შრომითი აღმავლობის ახალი აზვირთება გამოიწვია. 7 და 8 აგვისტოს ტყიბულქვანახშირის ტრესტის შახტებში შესდგა მიტინგები, რომლებზეც განიხილეს აღნიშნული მიმართვა და იკისრეს ახალი საწარმოო ვალდებულებები.

ლენინის სახელობის შახტში შემდგარ მიტინგზე მნგრეველებს შორის შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ორდენოსანმა ბ. თოდიძემ, რომელმაც 1944 წლის საწარმოო გეგმა უკვე შეასრულა, განაცხადა, რომ წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებით აღფრთოვანებული, კიზელელთა მიმართვის პასუხად იგი აგვისტოდან მოყოლებული წლის ბოლომდე კისრულობს დამატებით შეასრულოს კიდევ ერთი წლისათვის გათვალისწინებული საწარმოო დავალება.

შახტის საუკეთესო მტვირთავმა ბ. წკეპლაძემ, რომელიც ორი თვის განმავლობაში ინარჩუნებს პირველობას, განაცხადა, რომ წლის ბოლომდე შეინარჩუნებს ამ საპატიო ადგილს და გეგმებს ორმაგი გადაჭარ

სამხედრო ინდუსტრიის მშენებელთა კადრები

სამამულო ომი, რომელმაც ყოველმხრივ გამოსცადა ჩვენი ქვეყნის ძალა და ძლიერება, გახდა ყველა შესაძლო გამოცდიდან ყველაზე უფრო სერიოზული გამოცდა სოციალისტური სახელმწიფოს კადრებისათვის. ომის დასაწყისისათვის ჩვენ გვქონდა მძლავრი ინდუსტრია, მსოფლიოში ყველაზე უფრო მოწინავე სოფლის მეურნეობა, აღჭურვილი თანამედროვე პირველხარისხოვანი ტექნიკით. მაგრამ კადრების გარეშე ტექნიკა მკვდარია. ჩვენი სახელმწიფოს უდიდეს ბედნიერებას წარმოადგენდა ის, რომ ლენინ-სტალინის პარტიამ აღზარდა, გამოსვლდა და გამოაწრთო მეურნეობის ნიჭიერი ორგანიზატორებისა და მეთაურების შესანიშნავი კადრები. მათ გარეშე ჩვენი ზურგი ვერ შესძლებდა ფრონტისადმი გადამწყვეტი დახმარების აღმოჩენას.

ჯერ კიდევ როცა ჩვენი პარტიის XIV ყრილობამ აიღო კურსი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისაკენ, დიდმა სტალინმა დაგვისახა ამოცანა: „უნდა შევქმნათ ინდუსტრიის მშენებელთა კადრები". არავითარი ამოცანა, განსაკუთრებით ისეთი დიდი ამოცანა, როგორიცაა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო მცოდნე ადამიანების გარეშე, ინდუსტრიის ახალ მშენებელთა კადრების გარეშე. როცა სამოქალაქო ომის შემდეგ ჩვენ გადავედით ინდუსტრიის ფრონტზე, ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა: „ამის შესაბამისად ჩვენ ახლა გვესაჭიროება ახალი მეთაურები ინდუსტრიაში, ფაბრიკებისა და ქარხნების კარგი დირექტორები, ტრესტის კარგი მუშაკები, საქმიანი მოვაჭრენი, საქმიანი მესინდიკატენი, მრეწველობის მშენებლობის გონიერი მგეგმავნი. ახლა ჩვენთვის საჭიროა გამოვჭედოთ პოლკისა და ბრიგადის ახალი მეთაურები, დივიზიისა და კორპუსის ახალი უფროსები მეურნეობასა და მრეწველობაში. ასეთი ადამიანების გარეშე ჩვენ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ წინ".

ჩვენმა პარტიამ მშვიდობიანი მშენებლობის წლებში შექმნა წარმოების მეთაურთა ასეთი კადრები. ჩვენს ქვეყანას ჰყავს მრეწველობის გამოცდილი და შემოწმებული გენერალიტეტი, რომელმაც შესძლო პრაქტიკულად განხორციელებინა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლენინურ-სტალინური პოლიტიკა, მოეწყო სამი სტალინური ხუთწლედის გრანდიოზული სამეურნეო გეგმების შესრულება და სათავეში ჩასდგომოდა მთელი ჩვენი მრეწველობის, მთელი ჩვენი ეკონომიკის გარდაქმნის სამხედრო ყაიდაზე ომის პერიოდში. მრეწველობისათვის ბაზების გადანაცვლება სამოქალაქო ქარხნების გადაყვანა სამხედრო პროდუქციის გამოშვებაზე, ომის უძნელეს პირობებში უახლესი სახის საჭურვლისა და სამამრი მასალების მასობრივი წარმოების სწრაფად ათვისება — ყველა ეს გიგანტური ამოცანა ჯერ-ჯერობით განსორციელეს სამხედრო ინდუსტრიის სამეურნეო კადრებმა. საბჭოთა ხალხი მაღალ შეფასებას აძლევს მეურნეობის მეთაურთა დამსახურებას ისევე, როგორც იგი აფასებს წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცრების დამსახურებას. სოციალისტური მრეწველობის ლოკომოტივი ხელმძღვანელები დაჯილდოებული არიან სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდებით. ბევრი სამეურნეო ხელმძღვანელი ათვისებს ორგანიზატორულ სამეურნეო ნიჭს თანამედროვე არმიების ტექნიკური სამსახურის ღრმა ცოდნასთან და ატარებს გენერლების სამხედრო წოდებას.

იმ საყოველთაო სახალხო პატივისცემის ახალ აქტს, რომლითაც გარემოსილი არიან ჩვენს ქვეყანაში მეურნეობის მეთაური კადრები, წარმოადგენენ დღეს გამოქვეყნებული ბრძანებულებანი სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარ ვ. ა. მალოშევისათვის და შეიარაღებისა და საომარი მასალების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელი მუშაკების ორდენებით დაჯილდოების შესახებ. არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც დაჯილდოებულ იქნენ საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელი მუშაკები. ყოველივე ეს წარმოადგენს სამხედრო ინდუსტრიის ომის დროს მოპოვებულ დიად მიღწევათა დადასტურებასა და შედეგს.

საბჭოთა კავშირის სამხედრო მრეწველობის მიღწევათა ჩაკეფილ მაგალითს წარმოადგენს მუშაობა ჩვენი სატანკო მრეწველობისა, რომლის მუშაკებსაც აგრეთვე მიენიჭათ მაღალი ჯილდოები. ომის დასაწყისისათვის ჩვენს ქვეყანას უკვე მოეპოვებოდა ტანკები, რომლებიც თავიანთი ხარისხით გერმანელებისაზე უკეთესი იყვნენ. მაგრამ ტანკები არ გვყოფნიდა საკმარისად. გერმანელებს ჰყავდათ ფაილებით მეტი ტანკი, რადგან საბჭოთა კავშირზე ვერაგულად თავდასხმის დასაწყისისათვის მათ განკარგულებაში იყო არა მარტო თავიანთი სატანკო მრეწველობა, არამედ ჩეხოსლოვაკიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და საფრანგეთის მრეწველობაც, რომელიც მათ დაიპყრეს.

თანამედროვე ომში, აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი, უაღრესად ძნელია ქვეითი ჯარისათვის ბრძოლა ტანკების გარეშე. ამიტომ ამხანაგმა სტალინმა მუშათა კლასს უდიდესი ამოცანა დაუსახა — გაექარწყლებინა გერმანელთა უპირატესობა ტანკების მხრივ და ამით ძირფესვიანად გაეთუჯოებინა ჩვენი არმიის მდგომარეობა. ამხანაგი სტალინი 1941 წლის 6 ნოემბერს ლაპარაკობდა ჩვენს ქვეყანაში ტანკების წარმოების რამდენჯერმე გადიდების საჭიროების შესახებ. და ეს გრანდიოზული ამოცანაც გადაწყვეტილია.

ომის სამი წლის განმავლობაში ტანკების წარმოება ესრ კავშირში რამდენჯერმე გაიზარდა. ამავე დროს გრძელდებოდა ჩვენი ტანკების ხარისხის გაუმჯობესება, და ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამჟამად წითელ არმიას ჰყავს ყველაზე უფრო სიუჟეტესო მძიმე და საშუალო ტანკები, როგორიც კი იცის თანამედროვე ტექნიკამ. ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წითელი არმიის სატანკო ჯარები ბატონობენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე და მძლავრად, სულ უფრო მზარდად უჩუტყვიენ მტერს.

საბჭოთა კონსტრუქტორების აზრმა ახალი გზები გაკაფა ტანკმშენებლობის ტექნიკაში და შეტევითი იარაღის უბადლო ნიმუშები შეიქმნა. ჩვენი კონსტრუქტორების შთამაგონებელია ამხანაგი სტალინი. მან განსაზღვრა საბჭოთა ტანკმშენებლობის განვითარების ხაზი, და მისი პირადი დავალებებით ჩვენმა კონსტრუქტორებმა შეიმუშავეს ტანკების სწორედ ის ტიპები, რომლითაც შეიარაღებულია ჩვენი არმია. კონსტრუქტორებს ასსოვთ ამხანაგ სტალინის მითითება—იცქირონ წინ, მუდამ და ყველაფერში წინ გაუსწრონ მოწინააღმდეგეს. ამიტომ ისინი არ კმაყოფილდებიან მიღწეულით. მათი სტიქია შემოქმედებითი გამოდაობაა.

მაგრამ საკმარისი არ იყო საკუთარი ტანკების ორიგინალური ტიპების შექმნა. სწრაფად უნდა მოგვეგვარებინა მათი მასობრივი წარმოება, და აქ თავი იჩინა ინდუსტრიის ამ ბოლშევიკური კადრების, მისი მეთაურების, მისი რიგითი მუშების ცოდნამ, გამოცდილებამ და დარაზმვამ, რომლებიც აღსავსე არიან თავიანთი სამშობლოსადმი სიყვარულით და საზიზღარი მტრისადმი სიძულვილით, ისინი ამხანაგ სტალინის, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მუდმივი ყურადღებით და დახმარებით სარგებლობდნენ. არსებითად სამი-ოთხი თვე დასჭირდა იმას, რომ აღგვიდგინა ახალ ადგილებზე ევაკუირებული მრეწველობა. ჯერ კიდევ 1942 წელს გადავაჭარბეთ წარმოების ომამდელ ჩარჩოებს. ხოლო 1943 წელი და განსაკუთრებით მიმდინარე წელი გახდა ტანკებისა და თვითმავალი არტილერიის გამოშვების მნიშვნელოვანი ზრდის პერიოდი. ტანკმშენებლებმა შესძლეს მანქანების გამოშვების რაოდენობის სრულიად შეუკვეცავად, ერთდაიმავე დროს დაუფლებოდნენ გაუჯოჯესებულ და ახალ ნიმუშებს. ჩვენმა ტანკმშენებლებმა ისწავლეს ახალი ტექნოლოგიური პროცესების სწრაფად ათვისება და დაეუფლნენ შესანიშნავ ოსტატობას—სწრაფად გამოეხმაურონ ფრონტის საჭიროებებს, ომის მოთხოვნებს.

სამხედრო მრეწველობის ხელმძღვანელი მუშაკების დაჯილდოება, ტანკების მშენებელთა დიდი რაზმის დაჯილდოება წარმოადგენს ვოროდებას სოციალისტური ინდუსტრიის წარმატებათა გამრავლებისაკენ, ფრონტისადმი დახმარების შემდგომი გაძლიერებისაკენ. ომი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. მტერმა გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევს. ჩვენ უნდა ვსდიოთ დაჭრილ გერმანელ მხეცს კვალ და კვალ და ბოლო მოვუოთოთ მას მისსავე საკუთარ ბუნაგში. ჩვენ გვწყურია ჩვენი სრული გამარჯვების დღის მოახლოება, და ამიტომ დღეს კიდევ უფრო მეჯლინი და მობილიზებულნი უნდა ვიყოთ, ვიდრე გუშინ. ჩვენ კარგად ვიშრომეთ ფრონტისათვის, მაგრამ ამჟამად თვითკმაყოფილების დრო არ არის. ჩვენი სამართლიანი საქმის სრული გამარჯვებისათვის გადამწყვეტი ბრძოლების დღეებში მთელი ჩვენი ძალები, ისევე როგორც ომის პირველ თვეებში, უნდა ეკუთვნოდნენ ფრონტს, წითელ არმიას.

სამხედრო მრეწველობის მუშაკთა გუშინდელი დაჯილდოება მოჰყვა წითელი არმიის მარშლების, გენერლებისა და ოფიცრების ამსაწინანდელ დაჯილდოებას. ამაში ლრმა აზრია. ფრონტი და ზურგი დიდი ხანია გახდა ჩვენში ერთიანი საბრძოლო ბანაკი. წითელი არმიის მეთაურებთან ერთად საბჭოთა მეურნეობის მეთაურები, ფრონტის ვეტერანებთან ერთად ზურგის მშრომელები აახლოებენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი გამარჯვების ბრწყინვალე ჟამს.

„პრავდა" 6 აგვისტოს მოწინავე

კომკავშირელები მ. ავდეევი და დ. ნიხამინი კაპიტან ს. რაზუმოვის მოწაფეები იყვნენ ავიასკოლაში. 11 წლის შემდეგ მასწავლებელი და მოწაფეები ერთმანეთს შეხვდნენ განთავისუფლებული ყირიმის ერთ-ერთ აეროდრომზე. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ)—საბჭოთა კავშირის გმირი პოდპოლკოვნიკი მ. ავდეევი, კაპიტანი ს. რაზუმოვი და გვარდიის მაიორი დ. ნიხამინი. (საკავშირო ფოტოქრონიკა)

პარტიული ცხოვრება

ასე მუშაობს პარტბიუროს მღივნის მოადგილე

ბორჯომის საორთქლმავლო დეპოს პარტიული ორგანიზაცია დიდი სამამულო ომის დღეებში ნაყოფიერ პოლიტიკურ-მასობრივ მუშაობას ეწევა, საამქროებსა, ცვლებსა და ბრიგადებში აგიტატორები სისტემატიურად ატარებენ საუბრებსა და გაზეთების ხმამაღლა კითხვას. მოუთხრობენ მუშებს საერთაშორისო მდგომარეობაზე, აცნობენ სამამულო ომის ამბებს. საუბრებში ასახულია დეპოს კოლექტივის საქმიანობა, ნაჩვენებია ამოცანები, რომლებიც დეპოელებმა უნდა გადასწყვიტონ. აგიტატორები ახდენენ მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას, ეხმარებიან მთელ კოლექტივს შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებასა და მუშათა საწარმოო აქტივობის ამაღლებაში. საამქროს, სადაც აგიტატორია კომუნისტი მ. გელაშვილი, მუშათა უფრო ნაყოფი რაოდენობით, ვიდრე გუშინ იყო განსაზღვრული, დავალება 129 პროცენტით შესრულა და დაზოგა დიდძალი სწვავი მასალა.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებას აგიტატორები უდიდეს ყურადღებას აქცევენ. ამიტომაც შეჯიბრებაში თითქმის ყველა მონაწილეობს. კარგად მოწყობილი საგიტაციო მუშაობა დაეხმარა დეპოს კოლექტივს დავალება 152 პროცენტით შეესრულებინა.

საგიტაციო-მასობრივ მუშაობას უშუალოდ ხელმძღვანელობს დეპოს პარტბიუროს მდივნის მოადგილე, ლენინელი მემანქანე ამხ. ფ. ფეიქრიშვილი. იგი ხშირად ესაუბრება აგიტატორებს, აძლევს რჩევას, თუ რა საკითხებს მიაქციონ ყურადღება, აცნობს, მოწინავეთა გამოცდილებას და საგიტაციო მუშაობის საკითხები სისტემატიურად გამოაქვს პარტბიუროს სხდომებზე, პარტიულ კრებებზე.

დეპოს კოლექტივი შეუნელებელი ინტერესით სწავლობს დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ნაშრომს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ". ამხანაგ სტალინის წიგნის შესასწავლად დეპოში ჩამოყალიბებული იყო წრე, ხოლო კომუნისტთა მეტი ნაწილი ამ შესანიშნავ ნაშრომს დამოუკიდებლად სწავლობს.

დეპოში შექმნილია საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრე, რომელშიც 18 მსმენელია გაერთიანებული. წრეში სისტემატურად მიმდინარეობს მეცადინეობა. ამჟამად მსმენელები VI თავს სწავლობენ. ამხ. ფეიქრიშვილი, რომელიც დამოუკიდებლად სწავლობს „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს", ხშირად ესწრება წრის მეცადინეობას, ეცნობა, თუ როგორ მიმდინარეობს წრის მუშაობა, რა ნაკლოვანებებია, რომ შემდეგ საერო ზომები მიიღოს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

პროპაგანდისტული მუშაობის საკითხებს ხშირად იხილავენ პარტიული ბიუროს სხდომებსა და საერთო კრებებზე. კარგად მოწყობილი საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, სისტემატური ზრუნვა კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის ზრდის საწარმოო აქტივობას. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრის მსმენელი პ. კასრაძე ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 163 პროცენტით ასრულებს, მ. გელაშვილი — 123 პროცენტით, ი. შუბითიძე — 143 პროცენტით.

საორთქლმავლო დეპოდან მრავალი კვალიფიციური მუშა წავიდა ფრონტზე სამშობლოს დასაცავად. ჩქარვედ დაისვა ახალი კადრების აღზრდის საკითხი. კვალიფიციურ მუშათა აღზრდა, მათი საწარმოო გამოწრთობა დეპოს პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავი გახდა. ამხ. ფეიქრიშვილმა, რომელსაც პარტიული მუშაობის ეს უბანი ანარია, კადრების მომზადების გეგმა შეადგინა და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ჩამოაყალიბა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების წრე, რომელსაც თვითონვე ხაუდგა სათავეში. წრის მსმენელები გამოცდილი ხელმძღვანელის მეთხებით საწარმოო ოსტატობას დაეუფლნენ. ამხ. ფეიქრიშვილმა მოამზადა და მოაწყო ტექნიკური კონფერენცია, რომელზეც მოსმენილ იქნა მოხსენება: „როგორ დავზოგოთ სწვავი მასალა". ამ საკითხზე მომხსენებლად თვით ამხ. ფეიქრიშვილი გამოვიდა, ხოლო თანამმხსენებლად — კვალიფიკაციის ამაღლების წრის წევრები.

კადრების აღზრდაზე ზრუნვამ შედეგიც გამოიღო. მომზადებულ იქნა 73 ახალი სპეციალისტი.

ამხ. ფეიქრიშვილი პარტბიუროს სხდომებსა და პარტიული კრებებისათვის პერიოდულად ამზადებს საკითხს კადრების აღზრდის მდგომარეობაზე. იგი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პარტიული ორგანიზაციის დადგენილება კადრების აღზრდის თაობაზე განუხრელად განხორციელდეს.

ასე მუშაობს პარტბიუროს მდივნის მოადგილე ამხ. ფ. ფეიქრიშვილი.

მ. კალანდაძე
ს. ხითარიშვილი

„კომუნისტის" წერილების კვალდაკვალ

„ერთი აგიტკოლექტივი და მისი ხელმძღვანელი"

ამ სათაურით „კომუნისტის" 2 ივლისის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელიც ეხებოდა საქართველოს სსრ სპეცავჯრობასთან არსებული აგიტკოლექტივის მუშაობას.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბიროს რაიკომის მდივანი ამხ. ნ. გომელაური გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიუროს 8 ივლისის დადგენილებით ამხ. ე. კურდიუკოვა განთავისუფლებულია აგიტკოლექტივის ხელმძღვანელობისაგან და მითითება მეცა ხუსტი მუშაობისათვის.

ნღის მეორე ნახევარი წარმატებით დაიწყეს

ავეჯოსარემონტო ქარხანა

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა ივლისის საწარმოო დავალება 101 პროცენტით შეასრულა. შესრულებულია აგრეთვე სხვა დავალებები.

ქარხანაში ყველას გაუსწრო ამკრეხი საამქროს კოლექტივმა. ამ საამქროს სტახანოველები ამხ. სიდამონიძე, პაპუაშვილი და რუბაცოვი შეკეთებული ავტომანქანების გამოცდის ყოველდღიურ დავალებებს 200-400 პროცენტით ასრულებდნენ.

ელექტროტექნიკური საამქროდან დაწინაურდა ი. სიმონოვსკის ბარატია ბრიგადა, რომელიც მესამე თვეა ინარჩუნებს საქარხნო პირველობას. ივლისში ამ ბრიგადამ საწარმოო დავალებები 300-350 პროცენტით შეასრულა.

სახელოვანი წითელი არმიის ბრწყინვალე ისტორიული გამარჯვებებით აღფრთოვანებული მუშები დგებიან სტახანოვურ ვახტზე, რათა ფრონტისა და სამშობლოსათვის კიდევ მეტი და კიდევ უკეთესი ხარისხის პროდუქცია დაამზადონ. 31 იკლისს, მაგალითად, სტახანოვურ ვახტზე დადგა ქარხნის საუკეთესო მეყალბე ი. გალუშკო, რომელმაც დღიური დავალება 1.827 პროცენტით შეასრულა. ამავე დღეს ქარხნის საუკეთესო შემდუღებელმა ჩუმაკმა გეგმა შეასრულა 1.106 პროცენტით, მჭედელმა ჩიმჩიურმა — 882 პროცენტით, ხარატმა გოგიაშვილმა — 665 პროცენტით და ა. შ.

ქარხნის კოლექტივი წარმატებით შეუდგა აგვისტოს საწარმოო დავალებათა შესრულებას.

ბ. ხენგავა

მექანიკური ქარხანა

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანას მაისსა და ივნისში საუკეთესო მუშაობისათვის საქართველოს სსრ ალეილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა. ქარხანამ მიიღო ფულადი ჯილდო 10.000 შანეთის რაოდენობით.

კალინინელებმა ივლისში კიდევ უფრო გაძლიერეს მუშაობის ტემპები და საწარმოო დავალება 106 პროცენტით შეასრულეს.

ყოველდღიურ დავალებათა გადაჭარბებით შესრულებით სახელი გაითქვეს ზეინკლებმა ა. ხუციშვილმა, ო. ჭუბარიკოვმა და ი. აფანასიევმა.

ძველმა მუშამ, ჩამომსხმელმა გ. არსენიშვილმა ივლისში 2 ახალგაზრდა მუშას შეასწავლა თავისი პროფესია, ახლა ორივე 200-250 პროცენტით ასრულებს ყოველდღიურ დავალებებს.

ზეინკალი ა. ხუციშვილი და მებრძოლის ცოლი ე. ჯოხაძე ივლისში სამსონენი გახდნენ. ჩამომსხმელებმა გ. აკოფოვმა და ა. ავეტიკოვმა სახელი გაითქვეს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით.

კალინინელები პირობას იძლევიან აგვისტოში კიდევ უკეთესად იმუშაონ, ვიდრე ივლისში.

შ. ჭოჭუა

აბრეშუმის ქაუსალები უაბრიკა

თელავი („კომუნისტის" სპეც. კორ.). თელავის აბრეშუმის ძაფსადები ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც ივნისის საწარმოო გეგმა 111,9 პროცენტით შეასრულა და ამით საქართველოს აბრეშუმის ძაფსადებ ფაბრიკებს შორის პირველი ადგილი დაიკავა, დიდი წარმატებით მუშაობდა ივლისშიც. ფაბრიკამ საერთო პროდუქციის გამოშვების ივლისის გეგმა 115,1 პროცენტით შეასრულა და მოგვცა მაღალხარისხოვანი ძაფი.

ფაბრიკაში პირველობა მოიპოვა მარო თოდაძის ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელმაც გეგმა 129,6 პროცენტით შეასრულა და მედროსან გალინა პაპავას ბრიგადას გაუსწრო.

ფაბრიკის კოლექტივი იბრძვის აგვისტოში კიდევ უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მისაღწევად.

ს. ძოწალაძე

დღეკვეზები

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობა

ლონდონი, 8 აგვისტო (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღის გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ 6 აგვისტოს ღამით მტერმა დიდი შეტევა დაიწყო ჩვენი დასავლეთი სექტორის წინაღმდეგ მორტენიდან სურდევალამდე მდებარე უბანზე. მორტენი სამჯერ გადავიდა ხელიდან ხელში და ამჟამად მოკავშირეთა ჯარებს უჭირავთ. მოწინააღმდეგე სოლოვით შემოიჭრა, დაახლოებით, 3 მილზე შერანო-ლე-რუსელის რაიონში, სადაც სატანკო ბრძოლა სწარმოებს. მოწინააღმდეგემ აგრეთვე მოახერხა სოლოვით შემოჭრილიყო მოკავშირეთა ჯარების განლაგებაში სენ-ბარტელემის რაიონში.

ავიაგამანადგურებელმა-ბომბდამშენებმა და სარაკეტო დანადგარებიანმა თვითმფრინავებმა მთელი რიგი თავდასხმების შედეგად მორტენის რაიონში მოწინააღმდეგის 100-ზე მეტი ტანკი და 90 ავტომანქანა მოსპეს. მრავალი ტანკი და სატვირთო მანქანა დაზიანებულია.

ბრეტანის ნახევარკუნძულზე მოკავშირეთა ჯარებმა გაათავისუფლეს შატონეფი. ბრძოლები სწარმოებს ქალაქ სენ-ძალოსთან, რომელიც ამჟამად გადაჭრილია. მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი სენ-ბრიე და განაგრძობენ შეტევის განვითარებას. ბრესტისა და ლორიანის რაიონში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მოკავშირეთა ჯარებმა ორეს მიაღწიეს. განთავისუფლებულია ქალაქი შატობრიანი. ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები გრძელდება მთელ ნახევარკუნძულზე.

ნორმანდიაში მოკავშირეთა ჯარებმა ვირი დაიკავეს. 7 აგვისტოს მოკავშირეთა ჯარებმა გადალახეს მდინარე ორნი და შეჰქმნეს პლაცდარმი გრენბოსკის რაიონში. მოგერიებულ იქნა მოწინააღმდეგის კონტრიერიშები ამ უბანზე და მის დასავლეთით. ფონ პენკონის მაღლობის რაიონში თითქმის დამთავრებულია დაყრობილი ტერიტორიის გაწმენდა მოწინააღმდეგისაგან. მოკავშირეთა ჯარები იერიშებზე გადადიან კანის სამხრეთით.

მოკავშირეთა ავიაციამ მთელი რიგი გაფფრთებული თავდასხმები მოახდინა მტრის სამხედრო ობიექტებზე.

ლონდონი, 8 აგვისტო (ტასი).

ბრძოლა ბრესტისა და ლორიანის ცნობა

ლონდონი, 8 აგვისტო (საკდესი). ბრესტის საგენტო გადმოგვცემს, რომ გენერალმა დე გოლმა გუშინ ალეირის რადიოთი სატყვა წარმოთქვა, რომელშიც რეზენი გამოიხატება, რომ „ძალიან მალე საფრანგეთის მძლავრი არმია, კარგად გაწრთვნილი და კარგად შეიარაღებული, ფეხს შესდგამს საფრანგეთის მიწა-წყალზე".

დე გოლმა განაცხადა, რომ საფრანგეთის შიგნით ფრანგთა შეიარაღებული ძალები ბრძოლებს აწარმოებენ საფრანგეთის ცენტრალურ მასივზე, ალპებში, იურის მთებში, ფრანშ-კონტეში, ვოგეზებში, არდენში და კიდევ მრავალ ადგილს. ეს ბრძოლები საერთო ბრძოლის ნაწილს შეადგენენ და თავისკენ იზიდავენ გერმანელთა რამდენიმე დივიზიას. მდინარე რონის აღმოსავლეთ ნაწილის რაიონში უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ფრანგებმა მოსპეს 10 ათასზე მეტი გერმანელი.

დე გოლმა აღნიშნა, რომ საფრანგეთში ყველაზე მეშაობენ ფრანგთა წინააღმდეგობის ორგანიზაციები და მოიწოდა საფრანგეთის მოსახლეობა შეუერთდეს ამ ორგანიზაციებს და შეასრულოს მათი ბრძანებანი.

ალჟირი, 8 აგვისტო (საკდესი). ალჟირის რადიო იუწყება, რომ ივნისში ბრეტანში საჰაერო დესანტით გადასხმულ იქნა ერთი პოლკი ფრანგი პარაშუტისტი. მათ თავს, ორგვლივ დარაზმეს 6 ათასზე მეტი ფრანგი, რომლებიც ოკუპანტებისათვის წინააღმდეგობის გაწევაში მონაწილეობდნენ. პარაშუტისტთა ეს პოლკი საფრანგეთის პირველი სამხედრო ნაწილია, რომელიც კვლავ ებრძვის მშობლიურ მიწა-წყალზე.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ჟენევა, 8 აგვისტო (საკდესი). იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბის ცნობით, სერბიაში, ლიბანეს სამხრეთით გაგფთრებული ბრძოლები გრძელდება. სერბიასა და ჩერნოგორიაში განადგურებულია მტრის დიდი დაჯგუფებანი.

ჩერნოგორიაში დაკავებულია პუნქტი ბოგეტიჩი. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები სდევნიან მტერს დანილოგ გრადისა და პოდგორიცის მიმართულებით. მოწინააღმდეგის გარნიზონი ნიკშიჩში გარშემორტყმულია.

ჯიფლერელები იძულებითს სამუშაოზე მიერეკებიან ესტონეთის სს რესპუბლიკის მოსახლეობას

სტოკჰოლმი, 8 აგვისტო (საკდესი). ფინურ გაზეთ „უუსი სუომში" მოთავსებულია ცნობა ესტონეთში არსებული მდგომარეობის შესახებ. როგორც გაზეთი გადმოგვცემს, ჰიტლერელი საოკუპაციო ხელისუფალნი ერეკებიან ესტონეთის მოსახლეობას იძულებითს სამუშაოზე, უმთავრესად სიმაგრეთა წმენდლობაზე. იძულებითს სამუშაოზე მობილიზაციისაგან თავის არიდების შესაძლებლობა რომ გაეძნელონ, ჰიტლერელებმა ესტონეთის მოსახლეობას აუკრძალეს ესტონეთში ყოველგვარი მგზავრობა. ეს კიდევ ცოტაა, მცხოვრებლებს აკრძალული აქვთ სამუშაოდან დაბრუნების შემდეგაც კი დასტოვონ თავიანთი სახლები.

ლონდონი, 8 აგვისტო (ტასი).

ინგლისელ-ამერიკელთა ავიაციის ბომბდამშენების ბრძოლა

ინგლისელ-ამერიკელთა ავიაციის ბომბდამშენებმა ბრძოლა გააგრძელეს ინგლისის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ბომბდამშენებმა ბომბებით ბრძოლა ბრესტის ნავსადგურზე